სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030680780475620

12 / მარტი / 2020 წ. **თბილისი #06-57/ო**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე.

"2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილების (თავი II, მუხლი 10, პუნქტი 3) და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების (თავი II, მუხლი 9, პუნქტი 3) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებით (თავი II, მუხლი 10, პუნქტი 3) და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 169 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესები, ფორმები და მათი შევსების ინსტრუქციები თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) „დაავადებათა ადრეული გამოვლენის და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამა (დანართი #1-#8);

ბ)„იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის „აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურების“კომპონენტი (დანართი #9-#13);

გ) „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამა (დანართი #14-#27);

დ)„საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა (დანართი #28-#29);

ე)„ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „რეგიონული მართვის და მონიტორინგის“კომპონენტი (დანართი #30-#31);

ვ)„ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ლაბორატორიული კონტროლისა და ნახველის ლოჯისტიკის“ კომპონენტი (დანართი #32-#37);

ზ) „აივ-ინფექცია/შიდსის“ სახელმწიფო პროგრამა (დანართი #38-#43);

თ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის“ კომპონენტი (დანართი #44-#45);

ი)„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „სკრინინგით გამოვლენილ ორსულებში კონფირმაციული კვლევის ჩატარების“ ქვეკომპონენტი (დანართი #46-#47);

კ)„C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „სკრინინგული კვლევის“ კომპონენტი (დანართი #48-#49)

2. დაევალოს:

ა)ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის (ვლ. გეთია) იმერეთის და აჭარის სამმართველოების, ფოთის, სამეგრელო-ზემოსვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და კახეთის განყოფილებების უფროსებს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ)დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის

ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის #06-49/ო ბრძანება.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე